ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 55-46

“ 20 ” მაისი 2025 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-6 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 16/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016459) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების“:

ა) მე-2 მუხლის:

ა. ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) თბილისის მერიის, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და თბილისის მთავრობის დავალებით, თბილისის რაიონის გამგეობების წარმომადგენლობა სასამართლოში;“;

ა. ბ) მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) თბილისის მერიის, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა (კომპეტენციის ფარგლებში) და თბილისის მთავრობის დავალებით, თბილისის რაიონის გამგეობების წარმომადგენლობა სასამართლოში;“;

ბ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სამსახურის უფროსის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე თბილისის მერიისა და თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის, აგრეთვე, თბილისის მთავრობის დავალების შემთხვევაში, თბილისის რაიონის გამგეობების წარმომადგენლობა სასამართლოში;“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე